№ 82

1877—1900

სამშაბათი, 18 აპრილი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 82

სამშაბათი, 18 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ" განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისათვის.

მისაღები ეგზამენები იქმნება 25-დგან 28 აპრილამდე, დილის 9 საათზედ, სასწავლებლის შენობაში. იმათ, რომელთაც თხოვნასთან ერთად ჯეროვანი საბუთის ქაღალდები არ წარმოუდგენიათ, ვთხოვთ იზრუნონ მათდა წარმოსადგენად 22 აპრილისათვის.

(8—6.—3)

ძველი სენაკის ამხანაგობის

### „შუამავალის"
წევრების საყურადღებოდ

ამით გაუწყებთ, რომ სამეგრელოს სამრეწველო-მეაბრეშუმეთა „ნდობის" ამხანაგობის პირველი კრება დანიშნულია 23 აპრილს, კვირას, 10-ს საათზე, დაბა ძველ-სენაკს.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) დამტკიცება წარსულ წელთა აღებ-მიცემობის ანგარიშისა;

2) არჩევა კომისიისა, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი წესდება მთავრობის მიერ გამოცემულ სანიმუშო წესდების მიხედვით;

3) არჩევნები ამხანაგობის გამგეობის წევრთა;

4) შეძენა ადგილისა ამხანაგობის გამგეობის და პარკის სახრჩობ-სახმობის მოსათავსებლად;

5) არჩევა ამხანაგობის რწმუნებულთა.

იმედია მობრძანდებით, ან წესისამებრ რწმუნებულს მიანდობთ თქვენს ხმას და ამასთანავე, თუ სრული წილი (10 მანეთი) არა გაქვთ შემოტანილი, მისათავებლის წარმოდგენასაც ინებებთ.

გამგეობის წევრნი: ს. გ. ყიფიანი, ლ. ქავთარაძე და თ. გ. გერსამია

(1—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) დ საშარდის ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს დ გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დ ი ლ ი თ:

**პ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**ბ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

დ ა ნ ი შ ნ უ ლ იქმნენ: ქიურინის ოლქის ულუსის მაგალის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი—იმავე ოლქის კურახის ნაწილის უფროსად; ნახიჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარის მოხელე აბო ს ა ყ ვ რ ე ლ ი ძ ე—იმავე კანტორის მე-7 ხარისხის მოხელედ.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ იქმნენ: ლანჩხუთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი ქიშვარდია დ ა რ ჩ ი ა—ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ელიზბარ ლ ო მ ი ა და სიღნაღის კანტორისა—სებასტიან შ ვ ე ლ ი ძ ე პირველი—ახალსენაკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ხოლო მეორე—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ იქმნენ თავისისავე თხოვნის თანახმად სამსახურიდგან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა დავით ა ღ ს ა ბ ა ძ ე და ფოსტალიონი ახალ-სენაკის საფოსტო განყოფილებისა—მიხეილ პ უ ლ ა რ ი ა.

## შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირა კნიაჟნა ელისაბედ ვახტანგის ასულმა გურამიშვილისამ: სამი ნაჭერი ნაკერი, 19 ცალი სხვა-და-სხვა ფარჩის რედიკიული.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის გამგეობისა, საფინანსო კომისიისა და ხმოსან ტეხნიკოსთა შეერთებულ კრებაზედ ლაპარაკი იქმნა აღძრული იმის შესახებ, თუ რა გვარის ქვით უნდა მოიკირწყლოს ქალაქის ქუჩები. უმრავლესობამ სასურველად სცნო: 1, რომ მიხეილის პროსპექტი მთლად საუკეთესო, ოთხ კუთხიანის ქვით

## ფელეტონი

### მ უ დ ა რ ა

ჩემი ქვეყანა ილვიძებს,
საქმე კეთდება დიდი...
ღმერთო, უკურთხე მყობადი
და გაუნათლე წყვდიადი!
ისპობა შური და მტრობა,
ერთობის თესლი ვარდება;
დღეს თუ არ, ხვალე მაინცა
ვიცი, რომ ამიყვავდება.
მეც გული თან თან მიჩქება,
მომგონდეს, გამიხარდება,
თუ ქრისტეს სჯულის მოწამე
ერი არ დამეკარგება.
ჰე, ღმერთო, მხოლოდ შენგანთა,
ღმერთო, შენ შემოგტირია:
სრულ ამ ნუგეშით მამყოფე,
იმედით დამათირია!

ბაჩანა

### გ ა თ ხ ო ვ ე ბ ა
იუმორისტიული ამბავი სიგურდასი
(თარგმანი)

ათას გვარ ქალს შეჰხვდებით დედამიწის ზურგზედ: არიან ქალები ლინჯისა და წყნარის ხასიათისანი, არიან ფიცხისა და კაპასის ხასიათისანიც. შეჰხვდებით მაღალის და დაბლის ტანისას, ახალგაზდას და მოხუცს, გამხდარს და მსუქანს, უშნოს და ლამაზს, წარჩინებულსა და უბრალო გვარის შვილს; შავგვრემანს, თეთრ-ყირმიზსა და სხვა-და-სხვა ელფერისას. არიან ისეთი ქალები, რომელთაც მშვენივრად იციან საჭმლის მოხრაკვა, არიან ისეთნიც, რომელნიც ტაფას ვერ დადგამენ ცეცხლზედ. არიან ქალები კეთილნი, ბოროტნი, ფორტოპიანოს დამკვრელნი, ჭორიკანები, ავის ზნისანი, ენა-მახვილნი, უჭკუონი და ჭკვიანნი, მხიარულნი და მოწყენილნი, მაგრამ ამ სხვა-და-სხვა ქალებს ერთი რამე აქვთ საერთო: ყველას გულითა და სულით გათხოვება უნდა.

ქალი არ დაჰზოგავს არც მამას, არც დედას, არც პატარა დებსა და ძმებს, არც საკვირაო სკოლებს, არც გალიაში მომწყვდეულ საყვარელ ბულბულს, არც საკუთარს ჯანსა და სიცოცხლეს, ოღონდ-კი ქმარი იშოვნოს და იპოვნოს სადმე. ისეთი მაგალითიც ხშირია, რომ თხუთმეტის წლის ქალს საქმრო გამოუძებნია და საქმროს გულისათვის ამ ჯერ თითქმის ბავშვს ტიკინებისთვის თავი მიუნებებია.

ქალები კარგად ჰხედავენ, გათხოვილნი როგორ იტანჯებიან, ავადახდებიან, დაუვარცხნელნი, მოწყენილნი და მუდამ ცხვირ ჩამოშვებულნი დადიან; ჰხედავენ, გათხოვილნი პატარა მყვირალა კაცუნებისთვის რამდენს ღამეს ათევენ უძილოდ, თვითონ-კი მუდამ მხიარულად ატარებენ დროს, მუდამ უზრუნველნი, მუდამ დავარცხნილ-მოლამაზებულნი არიან; ჰხედავენ ყველა ამას და მაინც ჰშურთ იმ ქალების მდგომარეობა, რომელთაც ცოლ-ქმრობის უღელი დაიდგეს! სწორედ უცნაური ქალების ასეთი საქციელი!...

ქალი იმდენად მშიშარაა, რომ ვერ აიღებს ხელში პატარა, კოხტა და მოკლე კიბოს და ქვაბში ვერ ჩააგდებს, მაგრამ ამავე დროს მამაცად გაექანება და გადაეხვევა კისერზედ ოც-და-ათის წლის წვერიანს ვაჟკაცს, თავისუფლად და უშიშრად იცეკვებს ამ დევ-გმირთან ხუთ ვალსსა და სამ პოლკას. ეს კიდევ არაფერი: თუ დევ გმირმა ნება მისცა, ეს სუსტი და მშიშარა არსება ისეთის გულ-მოდგინებით დაუწყებს ვლერსსა და კოცნას, რომ სწორედ განცვიფრდებით.

მე ვიცნობდი ერთს ქალს, რომელიც ბებერს და მეტად გულ-კეთილ ძროხას ახლო ვერ მიუდგებოდა, მაგრამ ესევე ქალი უშიშრად დასეირნობდა ტყე-ღრეში ინგლისელს აფიცერთან, რომელსაც ინდოეთსა და სუდანში აუარებელი ველურნი ამოეწყვიტა.

ქალი სამჯერ იფიქრებს და ხუთჯერ გაჰზომავს კარსეტის ამორჩევის დროს, მაგრამ არც ერთხელ არ იფიქრებს საქმროს არჩევის დროს.

თუ ქალს ტანისამოსი დასჭირდა, იკითხავს ფართლეულობის, გაიგებს სიმაგრესა და სიკარგეს საქონლისას, ერთის სიტყვით, ყველაფერს შეიტყობს და მაშინ იყიდის ტანისამოსს, მაგრამ არავის არასოდეს არ გაუგონია, რომ საქმროს არჩევის დროს ქალი წასულიყოს საქმროს დედასთან და ეკითხოს, შემატყობინე, რანაირი კაცია შენი შვილიო.

ყველაზედ ცუდი ის არის, რომ ქალები სიტყვით ერთს ამბობენ და საქმით-კი სხვას აკეთებენ. ერთს საღამოს ახალგაზდა ლამაზს ქალსა ვთხოვე, ათი წუთით ჩემთან ერთად ბაღში გამოესეირნა, მაგრამ ქალმა ბაღში გასვლა ვერ გაჰბედა, გავცივდებიო. მეორე დილას კი ეს ახალგაზდა ქალი არც სიცივეს შეუშინდა, არც სურდოს და ერთ კაპიტანთან ერთად ინგლისში გაიქცა. მხედველობაში იქონიეთ, რომ ამ დილით ამინდი უფრო საძაგელი იყო, ვიდრე წინა საღამოს, როდესაც მე ვთხოვე ბაღში გასეირნება.

ოღონდ-კი ქალმა გათხოვება მოახეოხოს და იმას არ დაგიდევს, საქმრო ვინ და რა კაცია. ამ შემთხვევაში ქალებმა გარჩევა არ იციან: პირუტყვთა მფარველი ქალი სიამოვნებით მისდევს ყასაბს, ურწმუნო—მღვდელს, ხოლო მორწმუნე—პირველ როლების მოთამაშე არტისტს. ასე გასინჯეთ, ველურთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების კასსირად მყოფი ქალი არ დაერიდება ამ საზოგადოების კასსის გაქურდვას და ცოლად გაჰყვარვება პირველ ვიგინდარას, ან ცირკის პატრონს, თუ ამ უკანასკნელმა ხმის კანკალით გამოუცხადა, „მიყვარხარო", და მერე კიდევ დაუმტკიცა, რომ ტიტველ და შიშველ ველურთ არ შეუძლიანთ ქრისტიანობის შეთვისებაო.

სხვა-და-სხვა მოძღვრების ან სწავლის მიმდევარნი ძალიან კარგს იზამდნენ თავიანთ მოძღვრებას ან სწავლას ლამაზ ყმაწვილ კაცების შემწეობით ავრცელებდნენ, რადგანაც ახალგაზდა ქალი იმას უფრო დაუჯერებს, რასაც გუშინ გაცნობილი ყმაწვილი კაცი წასჩურჩულებს, ვიდრე იმას, რასაც ოც-და-ხუთის წლის ნაცნობი დედა ხმა მაღლა დაუყვირებს.

თუ „მორწმუნე" კაცმა მორწმუნე ქალს სთხოვა, ცოლად გამომყევიო, ქალი სიამოვნებით გაჰყვება და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნას მოკირწყლული; ასეთისავე ქვით უნდა მოიკირწყლოს გოლოვინის პროსპექტი, ერევნის მოედანი, რიყის ქუჩა და აგრეთვე სიონისა და ვანქის ეკკლესიების წინ ქუჩებიც; 2, ჩვეულებრივის ქვით მოიკირწყლოს: ოლღას ქუჩა, იარმუკა, ირაკლის და სიონის ქუჩები, თათრის მეიდანი, ვორონცოვის, კიროჩნისა, აფჩალისა, სადგურისა, მეტეხის ქუჩები და რიყე; 3, სასახლის ქუჩა მოიფინოს ოთხ-კუთხიანის ქვის ნაცვლად ასვალტით.

*** უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს 21 მარტის დადგენილებით ქ. ოზურგეთი განთავისუფლებულ იქმნა 1899 წლის პირველ იანვრიდგან ოთხის წლის განმავლობაში იმ ხარჯის გაღებისაგან, რომელსაც ქალაქი პოლიციის სასარგებლოდ იხდიდა, სულ 845 მანეთისა, აგრეთვე 1898 წლამდე დარჩენილ გადასახადისაგან ამავე პოლიციის სასარგებლოდ.

*** თავად-აზნაურთა თეატრში კონცერტებისა და წარმოდგენების გამართვა მხოლოდ 23 აპრილამდე შეიძლება. ამ დღიდგან-კი შეუდგებიან თეატრის შეკეთებას.

*** აზრადა აქვთ სიღნაღის მაზრის დაბა ლაგოდეხში არსებული სახაზინო თამბაქოს პლანტაციები გააფართოვონ.

*** თუმცა ამ ჟამად დიდძალ საკლავ საქონელს ერეკებიან ტფილისში და ამის გამო ხორცი უნდა გაიაფებულიყო, მაგრამ, ქალაქის გამგეობის აგენტების უყურადღებობის წყალობით, ყასბები დაწესებულ ნიხრზე 2—3 კაპეიკით უფრო ძვირად ჰყიდიან გირვანქა ხორცს. ამ გარემოებისთვის ყურადღება მიუქცევია ბ-ნს გუბერნატორს და ქალაქის მოურავისათვის მიუწერია, მიიღეთ ღონისძიება, რათა ვაჭრები ხორცს იმაზედ ძვირად არ ჰყიდდნენ, რაც ნიხრითაა დაწესებული, და ეხლავე შეუდექით არსებულ ნიხრის გადათვალიერებასო. ამასთანავე პოლიცმეისტერისთვისაც მიუწერია ბ-ნს გუბერნატორს, რომ პოლიციის მოხელეებმა გულმოდგინედ ადევნონ თვალ-ყური ყასბებს.

*** ამიერ-კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში მრავლად იბარებენ სამეურნეო საზოგადოებისაგან ვენახის საწამლავად საჭირო მასალას. ამ დღეებში, მაგალითად, კახეთში დაუბარებიათ.

*** ამ ზაფხულს, ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ვილაფრანსში (საფრანგეთშია) მევენახეთა კრება მოხდება. ამ კრებაზედ ჩვენებური მევენახენიც იქმნენ მიწვეულნი.

*** როგორც გაზ. „კავ.“ იუწყება, აზრადა აქვთ შესცვალონ სწავლების პროგრამმა ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში.

*** 24 აპრილისათვის დანიშნული ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრება, როგორც გაზ. „კასპი“ იუწყება, ამ დღეს აღარ მოხდება, რადგანაც სამინისტროსაგან ჯერ ნება-რთვა არ მოსვლიათ.

*** რადგან ნიაღვარი ხშირად დიდ ზარალს აძლევს სახლებს არსენალის გორაკზე, ქალაქის გამგეობას გარდაუწყვეტია არხი გაიყვანოს ამ გორაკიდგან ნიკოლოზის მოედნამდე, რაიცა დაახლოვებით 40,000 მანეთამდე დაჯდება. გამგეობას დაუვალებია ამშენებელ განყოფილებისთვის მოელაპარაკოს რკინის გზის გამგეობას და აგრეთვე არსენალის სახლების პატრონთ დაეხმარონ ქალაქს ამ საქმეში და ნაწილი ხარჯისა იკისრონ. ამშენებელმა განყოფილებამ ერთი თვის განმავლობაში დაწვრილებითი ანგარიში უნდა შეადგინოს ამ საქმისათვის საჭირო ხარჯისა.

*** გუშინ-წინ, 16 აპრილს, გერაზედ სამირკველი ჩაჰყარეს ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებლის ახალის შენობისა. სამირკვლის ჩაყრასა და კურთხევას დაესწრნენ: ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე სენატორი ს. ზ. კრისკი, ტფილისის გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მ. მ. შარიგინი, ქალაქის მოურავი, ქალაქის საბჭოს ხმოსანნი, საშუალო სასწავლებლების უფროსები და მასწავლებელნი და სხვანი.

*** სოფ. კაჭარეთი (უკანა მხარე, სიღნაღის მაზრა). ამ ბოლოს დროს ქურდ-ბაცაცებმა საშინლად შეაწუხეს ჩვენი და ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი. იმათ თავ-გასულობას სწორედ საზღვარი არა აქვს. ისე დღე არ გავა, რომ აქ ცხენი არ მოიპარონ, იქ ხარი, მესამე ადგილას კიდევ ცხვარი და სხვა. მცხოვრებნი სიხარულით გაიღებენ ფულს იმაზედ მეტს, რასაც ეხლა იხდიან, ოღონდ-კი ამ ქურდებისაგან დააღწიონ როგორმე თავი და იმათ მტაცებლობას გადაარჩინონ თავიანთი სარჩო-საბადებელი. აქეთ ყველამ კარგად უწყის, რომ ამ ქურდობის ჩამდენნი მეღანლოელი თათრები არიან, ხოლო ამის უტყუარი საბუთი ის არის, რომ როდესაც თათრები მთაში მიდიან, ქურდობის ჭაჭანება არ არის, ხოლო დორესაც ჩამოვლენ, ეს სენი ხელ-ახლა იჩენს ხოლმე თავს. გვგონებთ, ამიტომ პოლიციამ სწორეთ ამ თათრებს უნდა მიაქციოს ყურადღება და ეცადოს იმათ თავ-გასულობის აღკვეთას. მაგრამ, სამწუხაროდ, ახლად შემდგარი საპოლიციო დარაჯა თათრებს მაგდენ ყურადღებას არ აქცევს და იმათ ნაცვლად მშვიდ მცხოვრებთ ართმევს საფანტის თოფებს. „ოთოთაანთ ქორი შინაურ დედალს დაეცაო“, ამათი საქმეც სწორედ ასეა.

*** ს. წესი (რაჭის მაზრა). აღდგომა მეორე დღეს თავ. შამადავლე ერისთავს პატარა ფინია გაუცოფდა. ჯერ თვით ერისთავისას დაჰკბინა ცხრა სული ადამიანი, მერე იქიდგან გაიქცა და ოცდა ათამდე კაცი სოფელში დაჰკბინა. ვისაც ცოტა შეძლება აქვს, ტფილისში აპირებს წასვლას ასაცრელად, ხოლო ვისაც არა გააჩნიათ-რა, იმათ არ იციან რა ჰქნან. ერთმა გლეხმა მიპასუხა, როდესაც ტფილისში წასვლა ვურჩიე, მეც ვიცი, ჩემო ბატონო, რა დღეც მომელის, მაგრამ რა საშუალებით წავიდე? სახლში სასმელ-საჭმელი საყიდლიიმაქვს და იქ წასასვლელ ფულს ვინ მომცემსო? ამასთანა უბედურობა ამ სოფელს ჯერ არ სწვევია; მართალია 1896 წელს ამ სოფლის ნახევარი საშინელმა მეწყერმა მოსპო, მაგრამ მაშინ ერთი კაციც არ დაღუპულა. სოფ. სორიდგან მოსულა ვიღაც ხმალამე და რაღაც ბუზის წვენს ასმევს დაკბენილებს და თითო დალევაში მანეთს ახდევინებს. უთუოდ ბევრი დარჩება მარტო ამ ბუზის წვენის ამარა. ათი ან თორმეტი კაცი თუ მოახერხებს ტფილისში წასვლას, დანარჩენთ-კი უბედურება მოელით.

*** ს. ჩხუტელი (ლეჩხუმის მაზრა). 9 აპრილს ხანჯლით დასჭრა გლეხი ნინია ნიჟარაძე ე. ჭ.—ძემ. დამნაშავე შეიპყრო ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა.

*** სოფ. სურმუში (ლეჩხუმი). 10 აპრილს, აქაური მცხოვრები ი. უ—მე ნასვამი მისულა ლ. ჩ.—სას, შევარდნილა სახლში და დაუწყვია ყვირილი სახლის პატრონისათვის: დაიკარგე აქედგანაო... გაბრაზებულ სახლის პატრონს ჩამოუღია თოფი და შიგ გულში მიუხალებია ტყვია სტუმრისათვის, რომელსაც მაშინვე სული განუტევებია. პოლიციამ მაშინვე შეიპყრო დამნაშავე.

*** ქუთაისის მაზრის უფროსს უთხოვნია ტფილისის პოლიცმეისტრისთვის, რომ იპოვნონ ს. მესხეთის გლეხის იასონ ფხოლაძის 13 წლის ვაჟი, რომელიც წარსულს თვეში გაიქცა თავისის მამის სახლიდგან და ტფილისში უნდა იმყოფებოდესო.

## წერილი ზემო სვანეთიდგან

არა გგონებ, რომ საქართველოს რომელიმე კუთხე იყოს ისე მოკლებული თანამედროვე სამკურნალო მეცნიერების ნაყოფსა და სარგებლობას, როგორც ზემო სვანეთი. ეს მივარდნილი კუნჭული განგებას თითქოს მხოლოდ ულმობელის სიკვდილის სამფლობელოდ შეუქმნია. აი, ეს სასტიკი ბატონიც ყოველ წლობით ჰგზავნის აქ თავისს ურიცხვს აგენტ-მოურავებს (სხვა-და-სხვა სენს), რომელნიც გაბასრულის ცელით საშინელის სისწრაფით ერეკებიან თავიანთ ყმებს იქ, საიდგანაც არავინ ბრუნდება. ამბობენ, სიკვდილი განსვენება არისო, და ის, ვინც ამ ტირილისა და მწუხარების სამკვიდროს ადრე შორდება სანატრელია, და არა სატირელიო. შეიძლება ეს აგრეც იყოს, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ასეთს პესიმისტურ მოძღვრებას ჩვენში ძლიერ ცოტა მიმდევარი ჰყავს და რაც უნდა მწარე იყოს ამ წუთი-სოფლის ცხოვრება, ამ ცხოვრების ხანგრძლივობას უფრო ეტრფის მიწიერთა უმრავლესობა, ვიდრე ზეცას. რაკი ეს ასე არის, ჩვენი მოვალეობაც ის უნდა იყოს, რომ არ დავიშუროთ ჩვენი ძალ-ღონე, რათა ჩვენი მოყვას-ნათესავი იმ რწმენით არ გაშორდეს ამ წუთი-სოფელს, რომ ჩვენ მისის სიცოცხლის ხანგრძლივობისათვის არავითარ საშუალებას არ დავესწრაფენით და ჯერ კიდევ სიცოცხლის შვილი სიცოცხლის მაჯის მცემელი უკვდავის ნუგეშის მოკლებით სიკვდილს მივეცით მსხვერპლად და ამგვარად ცოცხლად დავასამარეთ. სამწუხაროდ, არსად ისე მივიწყებული და ფეხ-ქვეშ გათელილი არ არის ეს ზნეობრივ მოვალეობა ადამიანისა, როგორც ზემო სვანეთში, და ეს არა იმიტომ, რომ ჩვენ, ზემო სვანეთში მცხოვრებლებს, ასეთის მოვალეობის შეგნების ნატამალი არ მოგვეპოვებოდეს და ჩვენი მოძმის საუკუნოდ მოშორება სიხარულის გრძნობას იწვევდეს ჩვენში, არამედ იმიტომ, რომ მოკლებულნი ვართ ყოველგვარ საშუალებას ჩვენი ასეთი მოვალეობა შესაფერად განვახორციელოთ. სვანეთში არ არის მკურნალი და, მაშასადამე, არ ძალგვიძს სიკვდილის აგენტებთან გამკლავება. ვინ მოსთვლის, რამდენი სიცოცხლის წყურვილით სავსე ახალგაზდა ეთხოვება თავისს სატრფო ქვეყანას მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაგვაჩნია სულ იაფი საშუალება დახმარებისა და სიკვდილის კლანჭებიდგან ხსნისა! რამდენი ხანია ვითხოვთ, რომ რადგან სვანეთის სახელზედ არის დანიშნული მკურნალი და კარგ ძალ ჯამაგირსაც იღებს, მარტო სახელი არ არის საკმარისი და ამი-

---

ბადალაც იმას მოიდებს, რომ ორივენი ერთის აზრისა და შეხედულებისანი ვართო; თუ „ურწმუნო“ კაცმა ასეთისავე წინადადებით მორწმუნე ქალს მიჰმართა, ქალი მაინც გაჰყვება ცოლად, ხოლოდ თავისს გასამართლებლად იმას იტყვის, რომ ჩემ ქმარს მოვაჯულებ და ამით კარგ საქმეს ჩავიდენო.

თუ მოხუცმა კაცმა ახალგაზდა ქალს სთხოვა ცოლობა, ქალი, იმ აზრით აღფრთოვანებული, რომ დაჩაჩანაკებულს მოხუცს მოვუვლი და პატრონად ვეყოლებიო, თანხმობას განაცხადებს; თუ ყმაწვილმა კაცმა ცოლობა ხნიერს ქალსა სთხოვა, ეს უკანასკნელიც დასთანხმდება, მხოლოდ თავს სხვა ნაირად გაიმართლებს: დედობას გავუწევ ბავშვსაო.

ორი მიზეზია მხოლოდ ისეთი, რომელთა გამოც ქალმა შეიძლება უარი გამოუცხადოს საქმროს და ცოლად არ გაჰყვეს: პირველი—თუ ქალი ჰკუათა მყოფელი არ არის, მეორე—თუ შემდეგში უკეთესს რასმეს გამოელის. ეს უკანასკნელი მაგდენად მხედველობაში მისაღები არცკია: ქალს უკეთესის მოლოდინში თამამად შეუძლიან დაინიშნოს, რადგანაც ნიშნობის ბეჭედი მეცხრამეტე საუკუნეში მხოლოდ ამასა ჰნიშნავს: „Vive la concurrence“! (გაუმარჯოს კონკურენციას!“).

ისეთმა მამაკაცმა, რომელიც არც გამოთაყვანებულია, არც სწავლული, არც ქველ-მოქმედი, არც მეწვრილმანე და არც მემანქანე, თავისის არსების შესავსებად და თავისუფალ დროს გასატარებლად სამში ერთი უნდა აარჩიოს: ან სამიკიტნოში იაროს, ან ახალგაზდა ქალებს აჰყვეს, ან კიდევ ცოლი შეირთოს. მაგრამ სამიკიტნო და ქალები მალე მოაბეზრებენ თავს, ცოლი-კი, პირ-იქით, ან კერპად გაიხდის ქმარსა და სიყვარულითა და პატივის ცემით მოეპყრობა, ან კიდევ, როგორც ჩვილ ხბოს, ისე მოუვლის და მოულოლიავებს.

მართალია, უზომო სიყვარულის გამო ხშირად ცოლი ქმარს გაკოტრებამდე მიიყვანს და სხვა ათასს უკადრისს საქმესაც ჩაადენინებს ხოლმე, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ასე სამწუხაროდ თავდება, გთხოვთ, ბატონებო, მოწყალე თვალით შეჰხედოთ „მსხვერპლს“ და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს აპატიებთ.

იმ ქალმა, რომელიც თეატრში არა ჰმსახურებს, რომელსამე საზოგადოებას არ ეკუთვნის და არც დაამოწყალებისა, გულის სითბოს გასანელებლად გოშიისა, იადონსა და მეუღლეს შორის ერთ-ერთი უნდა აირჩიოს.

ჭეშმარიტად ბედნიერია ის ქალი, რომელიც ამ სამში გოშიას აირჩევს!..

თუ გოშია პატარაობითვე შეიკედლა, იგი პირველი სიყვარული იქმნება ქალისა, ხოლო თუ შემდეგშიაც კარგად მოუარა და გარდასახადიც თავისს დროზედ გაიღო, უკანასკნელ სიყვარულადაც იგივე დარჩება. ესევე არ ითქმის ქმრის შესახებ. პოროტი, ცუდად აღზრდილი ქმარი ხშირად თავისს ცოლს ყეფით ეგებება და სხვა ქალს-კი კუდის ქნევით. მე ბევრი ბებერი, ბოროტი და უშნო გოშია მინახავს, მაგრამ ასე უპატიოსნოდ არც ერთი ამათგანი არ მოქცეულა.

გოშია ყოველთვის მშვიდობიანად და წყნარად სკამ ქვეშ წევს, ქმარი-კი მუდამ იბღვირება და იღრინება.

როდესაც გოშია ბერდება და კბილები უჩლუნგდება, ხმას არავისა სცემს და მარტო თავისს თავსა ჰკბენს, ხოლო როდესაც ქმარი ბერდება, განუწყვეტლივ ჰბუტბუტებს და საწყალ „დედაბერს“ მოსვენებას არ აძლევს.

ქვეყანაზედ საუკუნო არაფერია, ყველაფერს აქვს ბოლო და დასასრული. ამ შემთხვევაში საზოგადო წესს გოშიები და მეუღლენიც ემორჩილებიან, მაგრამ როდესაც გოშია წუთი-სოფელს გამოესალმება, ქალს ადვილად შეუძლიან შეიძინოს ახალი გოშია, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევს თავისის პატრონის არც მოხრილს წელსა, და არც იმის შუბლზედ ნაოჭების თვლას შეუდგება და რომელიც ერთნაირის ალერსით დაუწყებს ხელის ლოკვას სამოცდაათის წლის მოხუცსაც და ჩვიდმეტის წლის ახალგაზდასაც. ყველა ამასთან მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ გოშია არავითარს ყურადღებას არ მიაქცევს არც ლამაზ მოსამსახურე ქალებს. ხოლო როდესაც მეუღლე საიქიოს ესალმება, უხამსის ქცევით იმდენს თმას გაუთეთრებს ხოლმე თავისს ცოლს, რომ საბრალო დედაკაცს ყოველ მაზანდას დაუკარგავს საქორწინო ბაზარში.

ბედნიერია ის ქალი აგრეთვე, რომელიც იადონს აირჩევს.

თვით განსაჯეთ, რა სჯობია, შემოგესმათ დილით, როდესაც ტკბილის სიზმრების შემდეგ თვალებს დააჭყეტავთ, იადონის გალობა, თუ ქმრის განუწყვეტელი ბუტბუტი, რომელიც „ეშმაკთან“ ისტუმრებს ცოლსაც და ყველა სხვასაც მარტო იმისთვის, რომ წინდები თავისს ადგილას არ აწყვია!

როდესაც იადონი ულუფას მიიღებს, ალერსით შემოგხედავს და მარცვლებს სიამოვნებით დაუწყებს კენკვას, ხოლო როდესაც ქმარს შემწვარს ხორცს შესთავაზებ, დაღრეჯით შემოგხედავს და საცოდავის კილოთი გეტყვის: „ერთი შემატყობინე, რომელ ტყავის მაღაზიაში იყიდე ესო“-ო.

როდესაც იადონი თეფშით წყალს მიიღებს, მხიარულად შიგ ჩახტება და ცელქად ბანაობას შეუდგება, ხოლო როდესაც „მახუცს“ პირის გასაპარსავად წყალს მიუტან, ცოფიანივით თვალებს დააჭყეტავს და დაუყვირებს ცოლს: „რა არის ასეთი ცხელი წყალი, გოჭი ხომ არა ვარ, შიგ ამომფუფქოო!..“

როდესაც იადონი მოკვდება, შეგიძლიან ტყავი გააძრო, ბალახ ბულახით გატენო და ოთახი დაიმშვენო, ხოლო როდესაც ქმარი სამუდამოდ გამოგეთხოვება, ათასი თავში საცემი გამოგიჩნდება და აუარებელი ფული დაგჭირდება, რათა იმისი საფლავი ძეგლით შეამკო, ისეთის მძიმე ძეგლით, როგორიც განსვენებულის ხასიათი იყო, და ისეთის დიადით, როგორც შენი განთავისუფლება იქმნება.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ იცხოვროს მუდამ სვანეთში, რადგან ეს კუთხე მოწყვეტილია ყოველ მხარეს უგზო უგვლობის გამო. ამ ჟამად ცეცხლს ნავთიც დაესხა: ჩვენ მკურნალობას ვჩიოდით და წლევანდელს წელს ფერშალსაც კი მოვაკლდით; ერთი ფერშალი გაგვაჩნდა იმედად და ისიც მოგვკლესო.

ბევრი საჭირ-ბოროტო კითხვა დასტრიალებს თავს ზემო სვანეთის მკვიდრთა ცხოვრებას, მაგრამ ამ ჟამად ყველაზედ უფრო მწვავე გადასაწყვეტი არის მკურნალის მუდამ აქ დაბინავება და მასთან საავადმყოფოს დაარსება. ამ ზაფხულში როგორც ისმის, მობრძანდება აქ გუბერნატორი. თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ ღვთის ანაბარად მიგდებულ სვანეთს იქნება გაუღიმოს ბედმა, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ როცა გუბერნატორი თვისისავე თვალით იხილავს და გაეცნობა სვანეთის აწმყო მდგომარეობას, სვანეთს განუწესებს მუდმივს მკურნალს და დაარსებს საავადმყოფოს.

ოლგა დადეშქელიანისა

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

წარსულის მარტის 5-ს იმერეთის დედა-ქალაქს ქუთაისში ერთი მეტად ახირებული და უცნაური ამბავი მოხდა და ცოდვა იქმნება, არ აღინიშნოს იგი ყბად-ასაღებად და წყალ-წასაღებად.

ამ დღეს ქუთაისში შეიკრიბნენ წევრნი ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისანი თვისთა საქმეთა განსაგებად. სხვათა შორის გადასწყვიტეს ამოირჩიონ გამგეობისათვის კიდევ ერთი ახალი წევრი, რათა უმოქმედო გამგეობამ მეტი მხნეობა და გარჯა გამოიჩინოს მისდა საზრუნავად მიჩენილ საკეთილო საქმისათვის.

აქ ხმა აღიმაღლა ერთმა არა-წევრმა,—ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ვთქვაო. მისცეს და აი რა განაცხადა თურმე:

„ქუთაისში არის ახალგაზდების პატარა წრე, რომელსაც დიდი სურვილი და მისწრაფება აქვს გამოსცეს ხალხისათვის სასარგებლო და ადვილი საკითხავი წიგნები"... „ეს ახალგაზდები ითხოვენ, რომ გამგეობის წევრნი იქმნან ამორჩეულნი მხოლოდ ამ წრიდგან".

რადაო იკითხავთ? იმიტომ-რომაო, უთქვამს იმ ახალგაზდას:

„ძნელია კაცმა იშრომოს იმისთანა წევრებთან, რომელნიც განსხვავდებიან მისგან თავიანთის მიმართულებითა და შეხედულებითაო" *).

ეს ამბავი თავიდგან ბოლომდე ხელის-ხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტია, რომელიც კარგად აღნიშნავს ჯერ კერძოდ იმ კაცის ვინაობას, რომელსაც ასეთი უცნაური თხოვნა განუცხადებია, მერე საზოგადოდ—იმ ახალგაზდათა პატარა წრეს, რომლის წარმომადგენლობაც ამ ვაჟბატონს გაუწევია. მაგრამ ჯერ რიგით მივყვეთ და ბოლოს ორივე საცნაურ იქნება.

ვიკითხოთ ერთი: ვთქვათ ქუთაისში არის „პატარა წრე", რომელსაც „დიდი სურვილი აქვს" თუნდა წიგნების გამოცემისა, თუმცა შეიძლება სხვა რამ „დიდი სურვილიცა" ჰქონდეს. რა იურიდიულისა და ზნეობრივის უფლებით მიბრძანდება იგი „გამომცემელ ამხანაგობის წევრთა" კრებაზედ, რომლის წევრადაც, დაიხსომეთ, არ ითვლება და თხოულობს, რომ თქვენ წევრნი ხართ ამხანაგობისა, საწევრო ფული შეგიტანიათ, ჩვენ წევრნი არა ვართ, საწევროდ არა გადაგვიხდია-რა, მაგრამ ვითხოვთ, რომ თქვენ ისევ წევრებად დარჩეთ და გამგეობა, პატრონობა საქმისა-კი ჩვენ ჩაგვაბაროთ, მხოლოდ ჩვენ, ამ პატრონობაში თქვენგანი ნურც ერთი ნუ გაერევა, რადგან „ძნელია კაცმა იშრომოს იმისთანა წევრებთან, რომელნიც განსხვავდებიან მისგან თავიანთის მიმართულებითა და შეხედულებითაო"?!.

აბა ამაზედ არის ანდაზად თქმული: „მაზანდარელი თათარი გოჭის თავს მეცილებოდაო"! წარმოიდგინე, მკითხველო, კარზედ მოგადგეს ვინმე და გითხრას, რომ შენ შენის ცდით, შენის მონაგარით საკეთილო საქმე დაგიწყია, თუნდა საზოგადოც იყოს ეს საქმე, ეგ მე გადმომეცი, მე ვუპატრონებ, შენი ქონებაც მე დამიტოვე და შენ-კი გარედ გაბრძანდიო?! გაგონილა ასე დაჩნევა ჭკუა გონებისა?!

უფლებას ვიღა კითხულობს, ნეტა იმდენი გაგონება და შესმენილობა ჰქონოდა ამ ვაჟბატონს, რომ დაფიქრებულიყო, შეიძლება თუ არა ასე უბოდიშოდ სხვის მონასტერში ჩემის წესდებით შესვლაო! ეს ვაჟბატონი, როგორც ჩვენი ყოვლად სარწმუნო კორესპონდენტი გვწერს, ბ-ნი პ. სურგულაძე ჰბრძანებულა!

უფრო გასაოცარია ბ-ნ პ. სურგულაძის, ამ „დიდის სურვილის" მქონე „პატარა წრის" წარმომადგენელის, ის სიტყვები, რომ მარტო ჩვენ მოგვანდეთ ეგ საქმე, რადგან ჩვენ „სხვა მიმართულება და შეხედულება გვაქვს" და თქვენთან ვერ ვიშრომებთო! კორესპონდენტი დასძენს, რომ „ორატორმა არა სთქვა, რაში მდგომარეობს ეს განსხვავებაო", მაგრამ აქ-კი ბ-ნი სურგულაძე კარგად მოქცეულა. რაღა უნდა ეთქვა, როდესაც ნამოქმედარმან მისმან საცნაურ ჰყო იგი: შენი მე მომეცი და შენ-კი გარედ გადიო!..

ამითი არ ელება ამ დუხჭირს მოვლენას ბოლო. ეს ამბავი ქუთაისში, როგორც ვთქვით, 5 მარტს მოხდა, კრების ანგარიში „ივერია"-ში 12 მარტს დაიბეჭდა, ხოლო მარტის 19-ს, ე. ი. შვიდის დღის შემდეგ, „კვალი"-ს მე-12 №-ში შევხვდით ვიღაცა „ქუთათური"-ს წერილს ამ საგნისავე შესახებ. წერილს სათაურად „გაკვრით" აწერია. ბ-ნი ქუთათური სწერს, რომ „ქუთაისის ახალგაზდობის ერთი ნაწილი" (იგულისხმეთ „პატარა წრე, რომელსაც დიდი სურვილი აქვს")

„მივიდ(ნ)ენ კრებაზე და წინადადება მისცეს მიენდოთ მათთვის „ამხანაგობის" მართვა-გამგეობა. ამათ წრფელ განზრახვაში (საუცხოვო წრფელი განზრახვაა!) ზოგიერთებმა რაღაც ფარული ინტრიგები ამოიკითხეს, მოელანდათ მესამე დასი და ამ საშინელმა მოჩვენებამ მთლათ აურიათ დავთარი"...

ხომ გაიგე, მკითხველო, თურმე ეს „დიდის სურვილის" მქონე „პატარა წრე" „კვალში" დასმულ მესამე დასის ქუთათური ნაწილი ყოფილა. ასე უნდა ვიგულისხმოთ, რადგან თვით „ქუთათურივე" არ აღნიშნავს, რომ იმ „პატარა წრეს" უარი განეცხადებინოს და ეთქვას: არ ვეკუთვნით მესამე დასსაო, პირ-იქით, უთქვამთ: „პარტიობა აქ არაფერს შუაშიაო", მეორე—ჯერ „ქუთათური" (უეჭველია, იგივე ბ-ნი პ. სურგულაძე იქნება!) და შემდეგ „კვალი", ჰკიცხავენ კრებას, რომელმაც იმათი „წრფელი განზრახვა" უარჰყო, „ქუთათურის" სიტყვით, და „უკადრისა და იქვე თავისი უკმაყოფილება გამოუცხადა", ჩვენის კორესპონდენტის სიტყვით, და მესამე—„კვალი" „ქუთათურის" წერილს „ივერიის" კორესპონდენციის ერთის კვირის შემდეგ ჰბეჭდავს და, მაშასადამე, თითონაც თანაუგრძნობს „ქუთათური"-ს „ახირებულს პრეტენზიას"!..

რაკი, როგორცა სჩანს, ეს უცნაური „დიდის სურვილის მქონე პატარა წრე" მესამე დასი ყოფილა და ბ-ნი პ. სურგულაძე—მესამე დასელი, ჩვენ იმდენად აღარ გვაკვირვებს და გვაოცებს იმათი საქციელი, რადგან კოკა და მისი შინაარსი ვიცანით და კარგად გვახსოვს ჩვენის უკვდავის პოეტ-ფილოსოფოსის სიტყვები, რომ

„კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოდინდების!"

ჩვენ ვნახეთ ამას წინად *), როგორ დაიჩემა მესამე დასის ხელმძღვანელმა ნოე ჟორდანიამ კერძოდ და მისმა საბუდარმა „კვალმა" საზოგადოდ თავ. ი. გ. ჭავჭავაძის ჯერ კიდევ 1863 წ. „საქართველოს მოამბე"-ში გამოთქმული აზრები, როგორ გადაჰხეჭ-გადმოხეჭა იგი, საკუთარის პროგრამის სახით გამოჰფინა „ახალ-მოძღვრებად" და შემდეგ ამავე აზრების პატრონს უაზრობა და უვიცობა შესწამა; ვნახეთ, რომ ეს ვითომდა „მარქსისტი", გერმანიიდგან რომ ვერაფერი საგძალი ჩამოჰყვა, აქ, ჩვენში, „ივერიის" რედაქტორის ნაშრომ ნაღვაწზედ თავმომწონედ და ყოყოჩად წამოხოხორიკდა და, მისის აზრებით ნაკვებმა, მასვე უთხრა,—არ ვარგიხარ და გარეთ გაბრძანდიო.

აი, ეხლა სწორედ ამისთანა მაგალითსა ვხედავთ ქუთაისში. იქაური „დიდის სურვილის მქონე პატარა წრე" პ. სურგულაძის წარმომადგენლობით მიბრძანდება „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის" კრებაზედ და თხოულობს,—თქვენი საქმე, თქვენი ნაშრომი, თქვენი ქონება ჩვენ ჩაგვაბარეთ და თქვენ-კი გარეთ გაბრძანდით, არც ერთი არ დარჩეთ აქ, რადგან თქვენთან ერთად ვერ ვიშრომებთ, „ჩვენი მიმართულება და შეხედულება სხვა არისო"!.. ეხლა-კი ნათლადა სჩანს, რაცა ყოფილა და არის იმათი „მიმართულება და შეხედულება"!.. რაც აქ, ტფილისში, ჩაიდინა მესამე დასის ბაირაღტარმა, უმეცრობით მოფარ თიფურთე ნოე ჟორდანიამ, იგივე ზნე და თვისება გამოიჩინა ქუთაისში პ. სურგულაძემ და მისმა „დიდის სურვილის მქონე პატარა წრემ"!.. ხე ხილისაგან, ხილი ხისაგან იცნობებისო, ნათქვამია.

ჩიორა

*) იხ. „ივერია" 12 მარტისა № 54, რომელშიაც დაბეჭდილია ანგარიში ამ კრებისა.

*) იხ. „ივერია" № 76, „ახალ მოსულის" წერილი.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გაზეთების სიტყვით, ლორდ რობერტს ამ დღეებში გრძელი მოხსენება გამოუგზავნია თავისის მთავრობისათვის, რომელშიაც გარკვევით ამბობს, რომ საქმის ვითარება დიდად მიშლის ხელს დროზედ შევასრულო ჩემ მიერ შემუშავებული სამხედრო გეგმა და ბრძოლა, უთუოდ, უფრო დიდ ხანს გასტანს, ვინემ ამას წინად მეგონაო. თავისის უმოქმედობის უმთავრეს მიზეზად, პირველ ყოვლისა, იმას ასახელებს ინგლისის მთავარ-სარდალი, რომ ბურების ჯარები ბლომად არიან გამწკრივებული ბლუმფონტეინიდგან სამხრეთ მხარეს ორანჟეს მდინარემდე, რომელნიც მოსვენებას არ აძლევენ ინგლისის ჯარს და ისედაც მცირე რიცხვი ინგლისის მხედრობის ცხენებისა კიდევ უფრო მცირდება და არტილერია და საბარგე ურმები გაჭირვებაში სცვივიან. რობერტსი იმ აზრის არის, რომ სანამ ბურების ხსენებულ რაზმებს ან სრულიად არ გავანადგურებთ და ან მდინარე მოდერს გაღმა არ განვდევნით, ჩვენი წინ წაწევა შეუძლებელი არისო, მაგრამ ამასთანავე იმასაც ამბობს, რომ ეს საქმე დიდს მსხვერპლს და დროს მოითხოვსო. ამ გარემოებას ისიც ზედ ერთვის, რომ ამ ჟამად ზამთარი დგება სამხრეთ აფრიკაში და კოკის პირული წვიმა მოდის, რის გამო მდინარეები თანდათან უფრო მატულობს ისე, რომ მათში გასვლა შეუძლებელია და გზები საშინლად ფუჭდება. ამ დამაბრკოლებელ მიზეზთა ძლევა ინგლისის ჯარის ცხენებისათვის შეუძლებელია. გარდა ამისა, ინგლისის სარდლებს ვერ მოუხერხებიათ უტყუარი ცნობები გაიგონ მტრის მოძრაობის შესახებ, ხოლო, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ბურები საოცარის სისწრაფით გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე და მოულოდნელად იცვლიან სიმაგრეებს. საქმე ის არის, რომ ადგილობრივ ტომის ჯაშუშებს ნამდვილი ამბავი არ მიაქვთ თურმე ინგლისელებთან და ეს უკანასკნელნი უფრო შეცდომილებაში შეჰყავთ, ვიდრე ნამდვილს გზაზე აყენებენ. ყოველივე ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ რკინის გზები სასურველს სამსახურს ვერ უწევს ინგლისის მხედრობას, რადგან, ერთის მხრივ, მტერი მუდამ ავიწროებს მას და მეორეს მხრივ, იქაური გზები ისე არ მოწყობილა, რომ ამოდენა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს.

ყოველივე ზემო ნათქვამი კერძო გაზეთების სიტყვებიდანაც მტკიცდება. აი, მაგალითად, რას იწერება ინგლისურ გაზეთის „Morning Post"-ის კორესპონდენტი: „რობერტსის მოძრაობას შეაჩერებს წვიმა, და არა თოვლი, მაგრამ შედეგი ხომ ერთი და იგივე იქნება. ჯარები ფეხს ვერ გადასდგამენ, გამოსვლა და ამბის მიტან-მოტანა მოისპობა, ხოლო ჯარის-კაცთ ათასგვარი სნეულობა შეავიწროვებს. უკვე ორი კვირა გადის, რაც ორანჟეს რესპუბლიკაში კოკისპირული წვიმა მოდის. ბლუმფონტენის მიდამოებში ისეთი ტალახია, რომ ფერმის პატრონთა პოვოსკებიც ვერ მოდიან ქალაქში. მოქმედების განახლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გზები გაუმჯობესდება. მდინარე კოლდვოხი ნაპირებიდან გადმოვიდა, ხოლო მოდერსა და რიტში გასვლა არ შეიძლება ფონად. რკინის გზის ლიანდაგის ერთი ნაწილი სულ ერთიან გაათუხა ნიაღვარმა".

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთ ამერიკელ მანდილოსანს, მდიდარის ვაჭრის ცოლს, ამას წინად სასამართლოსთვის მიუმართავს და უთხოვნია, ჩემს ქმარს განმაშორეთო. საყურადღებო აქ ის ბრალდებაა, რომელსაც მანდილოსანი განქორწინების მიზეზად ასახელებს. მანდილოსანი თავისს საჩივრის ქაღალდში ამბობს, რომ ჩემი ქმარი მეტად უსუფთაო კაცია და ამის გამო მინდა განვშორდეო; რამდენჯერმე ვთხოვე სუფთად შეენახა თავი, მაგრამ არც ერთხელ არ აასრულა ჩემი თხოვნაო. ამ საქმის განხილვის დროს მოწმეებიც დაუბარებიათ. მანდილოსნის დას უთქვამს, რომ ჩემის დის ქმარი მხოლოდ კვირაში ერთხელ იბანს ხოლმე პირსა და ხელებსაო. ესევე გამოუცხადებია წინანდელ გუვერნანტკასაც. ამ გუვერნანტკას უთქვამს კიდევ, რომ კვირაში ერთი დღე ჰქონდა დანიშნული, სახელდობრ ორშაბათი, როდესაც პირს იბანდა ხოლმეო.

* * *

ამას წინად მექსიკაში ორ ქალს—ჟუანნა ლუნასა და მართა დიურანს—დუელი ჰქონიათ. მიზეზი ამ დუელისა ერთი ყმაწვილი კაცი, გვარად რაფაელ რიკელმი, ყოფილა. რიკელმი წინად ჟუანნა ლუნას ეარშიყებოდა თურმე; ბოლოს დროს-კი ამ ქალისთვის თავი მიუნებებია და თავისი ყურადღება მართა დიურანისთვის მიუქცევია. ამ რამდენისამე ხნის წინად სამივენი ერთ ბალში ყოფილან. ქ-ნ ჟუანნა ლუნას დაუნახავს რა, რომ რიკელმი ქ-ნ დიურანთან ცეკვაობდა და საზოგადოდ იმას არა ჰშორდებოდა, გაჯავრებული მიჰვარდნია თავის მეტოქეს, ჩხუბი დაუწყვია და ბოლოს დუელშიაც გამოუწვევია. მეორე დღესვე ეს ორი ახალგაზდა ქალი თავიანთის ოთხის სეკუნდანტით ქალაქს გარეთ გასულან და შპაგებით ბრძოლას შესდგომიან. გამარჯვებული ამ ბრძოლიდგან ჟუანნა ლუნა გამოსულა: იმას ორს ადგილას დაუჭრია მართა დიურანი. ამ უკანასკნელს დამარცხებულად უცვნია თავი, გადაუკოცნია მოწინააღმდეგე და ბოლოს უთქვამს, რომ რაფაელ რიკელმი შენთვის დამითმიაო. კანონით მექსიკაში დუელი აღკრძალულია. რადგანაც პოლიციას გაუგია ამ დუელის ამბავი, დაჭრილი დიურანი საავადმყოფოში დაუწვენიათ, ხოლო ქ-ნი ლუნა და ოთხი სეკუნდანტი სატუსაღოში ჩაუსვამს.

* * *

მეტად გავრცელებული ინგლისური გაზეთი „Daily News"-სი შეჰკითხებია ამას წინად თავისს ხელის მომწერთ, შემატყობინეთ ყმაწვილებისთვის რომელ წიგნსა სთვლით საუკეთესოდაო. პასუხი რედაქციას 987 კაცისაგან მოსვლია, უმთავრესად მასწავლებლებისა, მღვდლების ცოლებისა, წიგნთ-საცავის გამგეებისა და სხვათაგან ე. ი. იმათგან, ვისაც ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმესთან კავშირი აქვთ. უმრავლესობას, სახელდობრ 921 კაცს, საუკეთესო საყმაწვილო წიგნად „რობინზონ კრუზო" უცვნია; ამ წიგნს მოსდევს „ანდერსენის ზღაპრები" (877 კაცს), „ალისა სასწაულ მომქმედ ქვეყანაში" (867), „სასკოლო დღეები თომა ბროუნისა" (831), „მლოცავის მგზავრობა" (824), „გრიმმის ზღაპრები" (807), „პატარა ქალები" (757); „ათას ერთი ღამე" (730), „პატარა ლორდი ფაუნტლერი" (727), „ალისა და სარკე" (723), „ბიძია თომას ქოხი" (705), „აივენგო" (670), „გულივერი" (650), „შორეული ქვეყნები" (528), „თალისმანი" (349), „მიჩმანი იზი" (331) და სხვანი.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო „ქრისტინე"—მოთხრობა ე. ნინოშვილისა, „ცოდნის" ამხანაგობის მიერ გამოცემული. წიგნი კარგ ქაღალდზედ და სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ერთ აბაზად.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 აპრილი.

**მოსკოვი.** დღეს, 15 აპრილს, დიდის მთავრინის ალექსანდრა პეტრეს ასულის დასაფლავების დღეს, მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში მიტროპოლიტმა ვლადიმირმა გადაიხადა

წირვა და პანაშვიდი. 10 საათისთვის წირვაზედ შეიკრიბნენ სეფე-ქალნი, ფრეილინები, ქალაქელნი მანდილოსანნი, გენერლობა, შტაბი, ობერ-აფიცრები, მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და მოსკოვის ქალაქის მოურავი. აღდგომის დღესასწაულის გამო მანდილოსნებს თეთრი ტანისამოსი ეცვათ. წირვას დაესწრნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, 11 საათზედ ღვთის მშობლის დაბადების ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის დიდის მთავრინის ალექსანდრა პეტრეს ასულის, მონოზნობაში ანასტასიას, სულის მოსახსენებლად, რომელსაც დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი ელისაბედ თეოდორეს ასული, ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ანდრია ვლადიმირის ძე.

**მოსკოვი**. 14 აპრილს ბედნიერება ჰქონდა მათი უდიდებულესობის წინაშე წამდგარიყვნენ მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად ტრუბეცკოის, მაზრის წინამძღოლებს და თავად-აზნაურთა დეპუტატებსა და წარმომადგენელთ. მათ მადლობა გადაუხადეს სააღდგომო საუზმის მიღებისა და „რუსეთის კეთილშობილთა საკრებულოში“ მიბრძანებისათვის. თავადმა ტრუბეცკოიმ ამასთან თავად-აზნაურობის მხრივ სამძიმარი გამოუცხადა მათ უდიდებულესობათ დიდის მთავრინის ალექსანდრა პეტრეს ასულის გარდაცვალების გამო.

**ყაზანი**. 15 აპრილს აქედგან მოსკოვში წავიდა სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი. მინისტრის ამხანაგი იმ აზრით მოვიდა აქ, რომ გაეგო და შეეტყო საჭიროებანი უნივერსიტეტის სამოსწავლო-დამხმარებელ დაწესებულებათა და აშენების პირობანი და გეგმები სტუდენტთათვის განზრახულ საზოგადო საცხოვრებელისა.

**ლონდონი**. „Daily Telegraph“-ს დეპეშით ატყობინებენ ლედისმიტიდგან, რომ ბურებმა გადასწყვიტეს ზამთარი ნატალში გაატარონ და ამისთვის უკვე შეუდგნენ მზადებასაო; ისინი საქონელს მოერეკებიან ნატალის ზამთრის საძოვრებზედაო.

იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდგან, რომ ის თხრილები, რომელიც იოჰანესბურგის მადნებში გამართეს ამ მადნების ასაფეთქებლად, ხელახლა ამოავსესო.

„Daily Chronicle“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტეინიდგან, რომ ოლდერსონის ამხედრებული ქვეითა ჯარი უკან დაწეულ ბურებს აღარ მისდევს, რენდლი-კი ჯერ არ ანებებს თავს ბურებსაო. ვეპენერის ჩრდილოეთით ადგილები განთავისუფლებულია ბურებისაგან.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტეინიდგან 13 აპრილს: „საეჭვოა, რომ უკან დაწეულ ბურებს რამე ზარალი მიაყენოს ინგლისის ჯარმა. ლორდ ბოტამ, რომელიც ორმაგის ძალით დეპეტსდორპში იყო, ხელიდგან გამოგვეცა საქმის ვითარებაში და განვიწყურობით მოიმხდნენ, რომ ჯარი ბრუნდება თავის ადგილას“.

**ბლუმფონტეინი**. ფრენჩმა და რენდლმა გუშინ დევეტსდორპს თავი მიანებეს, რათა ცალკე რაზმებით ბურებს გამოუდგნენ.

**ალივალნორტი**. როგორც იუწყებიან 300 ბური ბუშმანსკოპთანა სდგას, 400 ბური ორის ზარბაზნით —გრისკოპში და 200 ც ორის ზარბაზნით მდ. კალედონთან.

**ლონდონი**. „Times-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედგან 13 აპრილს: „ბებვის ქარხანა იოჰანესბურგში, სადაც ზარბაზნებს აკეთებდნენ, კრეზოს ფირმის წარმომადგენელთა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ეს ქარხანა, როდესაც იგი მთავრობას გადაეცა, გაფართოვებულ იქმნა. მუშების უმრავლესობა კრეზოსთან ნამყოფი იყო. 20 კაცი, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, ვითომ იმათ ეეფეთქებინოთ ქარხანა, დააპატიმრეს.

**ლედი-სმიტი**. ბურებმა რამდენიმე ასი კაცი გაგზავნეს ვიწროების დასაცველად. ვანრენენმა, ოლივიემ, გუკმა, რომელნიც ჯარს ანაწილებენ განკარგულება მოახდინეს, რომ სხვა და სხვა ადგილას მდგომი ჯარი დაუყოვნებლივ გაჩნდეს ხოლმე იმ გასავალთან, რომელსაც ინგლისელები დაეცემიან.

**სიერრა-ლეონე**. რომეტტეს ოლქიდგან იუწყებიან ჯოუნთა ტომის აჯანყების შესახებ. ჯარი იქმნა იქ გაგზავნილი.

**ომსკი**. ირტიშზედ ყინული დაიძრა.

**პრეტორია**. როგორც ბოლო დროის ცნობებიდგანა სჩანს, იოჰანნესბურგში მომხდარ აფეთქების დროს გაცილებით მეტი ხალხი დაღუპულა, ვიდრე ჰგონებდნენ. მომკვდარი 30 და დაშავებული 54 კაცი. მთავრობის აზრით, აფეთქება მოულოდნელს უბედურს შემთხვევას არ მიეწერება. რამდენიმე კაცი უკვე შეიპყრეს.

**ლონდონი**. სამხედრო სამინისტროს მიერ მიღებული დეპეშა იუწყება, რომ პრეტორიაში მყოფ ინგლისელ ტყვეთაგან 10 კაცი კიდევ მომკვდარა და ავადმყოფთა რიცხვიც არა კლებულობს.

**ნეაპოლი**. ტუბერკულოზის (ჭლექის) წინააღმდეგ საბრძოლველად შემდგარმა კონგრესმა თავისს უკანასკნელს სხდომაზედ მიიღო გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არჩეულ იქმნას სამის წევრისაგან შემდგარი კომიტეტი და დაევალოს მას, თუ აღნიშნულ სენის წინააღმდეგ საბრძოლად რა რიგად უნდა დაარსდეს ეგრედ წოდებული ჭლექის წინააღმდეგი საერთაშორისო ლიგა.

**კონსტანტინეპოლი**. ოსმალეთის ტახტის წინაშე მყოფი რუსეთის რწმუნებული სულთანმა დღეს ინახულა.

**კიევი**. განსვენებულის დიდის მთავრინა ალექსანდრა პეტრეს ასულის, მონაზონის ანასტასიას გვამის თაყვანისაცემლად გუშინ და წუხელ აუარებელი ხალხი მოდიოდა მიძინების ტაძარში. განსვენებული მონაზონი ტანისამოსშია და პირზედ დაფარნა აფარით. წირვა განსვენებულის სულის მოსახსენებლად და შემდეგ ანდერძის აგება, რომელიც შეასრულეს მიტროპოლიტმა იოანნიკემ, სამმა ეპისკოპოსმა, რამდენმამე არქიმანდრიტმა და ქალაქის სამღვდელოებამ. წირვასა და ანდერძს დაესწრნენ: დიდნი მთავარნი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, პეტრე ნიკოლოოზის ძე, დიმიტრი კონსტანტინეს ძე, დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასული, პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისა, თავადი ალექსანდრე გიორგის ძე რომანოვსკი, კიევის მხარის უფროსი, გუბერნატორი, ობერ-პროკურორის ამხანაგი საბლერი, კავალერიის გენერალი გრაფი იგნატიევი, კავალერიის გენერალ-ინსპექტორის თანაშემწე ტუტოლმინი, ხარკოვის დრაგუნთა მე-11 რაზმის მიერ წარმოგზავნილი დეპუტაცია, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. 12 საათზედ კუბო განსვენებულის მონაზონის ანასტასიას გვამითურთ მონაზონებმა გამოასვენეს მშვენიერის გალობითა და მონაზონებმავე დაჰკრძალეს. განსვენებულის დაკრძალვის შემდეგ დამსწრეთ სთხოვეს განსვენებულის სულის მოსახსენებლად გამზადებული ტაბლა ენებებინათ.

17 აპრილი

**პეტერბურგი**. დღეს კრება ჰქონდათ ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის მეაქციეთ. დამტკიცებულ იქმნა 1899 წლის ანგარიში. წმინდა მოგება უდრის 3,649,421 მან., დივიდენდად დანიშნულია 2,840,000 მან., აქციაზედ 71 მან., ესე იგი 28,4 პროც. სათადარიგო თანხა უდრის 4,243,421 მან., სათადარიგო დივიდენდი 2,323,630 მან.

**პარიჟი**. გამოფენაზედ ჩამოქცეულმა ხიდმა მოჰკლა სამი მამაკაცი, ერთი დედაკაცი და ერთი პატარა ქალი. დაჭრილთა რიცხვი ათამდე აქნება. ამ ჟამად ნანგრევებიდგან შვიდი გვამი ამოიღეს. ჯერ ნანგრევების გაწმენდა არ დაუმთავრებიათ. საავადმყოფოში ორი დაშავებულთაგანი გარდაიცვალა. დანარჩენთაგან ზოგიერთი დაშავებული ძნელად თუ მორჩეს. ყოველივე ღონისძიება ნახმარი დაშავებულთა საშველად.

**გლუმფონტეინი**. პოლიკერიუს დივიზია დღეს დილით მოვიდა.

**მასერუ**. დღეს დილით ტაბანჩუს მხრიდგან ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდა რამდენისამე საათის განმავლობაში. ბრძოლის შედეგისა არა იციან რა. ბურები, რომელთაც ვეპენერიდგან და დევეტსდორპიდგან დაიწიეს, გზა და გზა კი არ მიდიან, არამედ მინდვრებს გადადიან, რომ ბაზუტოლანდის საზღვრიდგან მათი თვალ ყურის დევნება არავინ შეიძლოს.

**ტაბანჩუ**. რაზმები რენდლისა და გამილტონის უფროსობით გუშინ აქ მშვიდობიანად მოვიდნენ. როგორც იუწყებიან, ცხენოსან ჯარს მცირე შეტაკება ჰქონია ბურებთან ტაბანჩუდგან აღმოსავლეთით.

და პანაშვიდი იქმნა გარდახდილი მონაზონის ანასტასიას სულის მოსახსენებლად. შემდეგ მთავარმა უმაღლესი მანიფესტი წაიკითხა.

**ჰააგა**. ბურების მისსია პირველს მაისს ამსტერდამში იქნება, ხოლო 4 მაისს ამერიკას გაემგზავრება. ლეიდსი და მილლერი ევროპაში დარჩებიან.

**ბლუმფონტეინი**. ამბობენ, რომ ინგლისელები ამიერიდგან ეცდებიან ტაბანჩუ დაიჭირონ მისის სტრატეგიულ მნიშვნელობისა გამო, განსაკუთრებით-კი იმისთვის რომ მერმის ში ბურების თავ-დასხმას წინააღმდეგობა გაუწიონო. ტაბანჩუსაკენ მომქმედი ბურების რაზმები თანდათან ცოტავდება. ბურები მშვიდობიანად ბრუნდებიან თავ თავიანთ სახლში და თავსა ჰმართლეულობენ, რომ თუმცა ფიცი მივეცი ინგლისელებს, მაინც იძულებულნი ვიყავით მონაწილეობა მიგვეღო ბრძოლაშიო. აქ იმ აზრისანი არიან, რომ სასტიკი ღონისძიებანი იქმნება ხმარებული მკვიდრთაგან იარაღის ჩამოსართმევადაო.

**ბუქარესტი**. დიდის მთავრინას ალექსანდრა პეტრეს ასულის გარდაცვალებისა გამო სასახლეში ორის კვირით მგლოვიარება დაწესებული.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებ პატივცემულს იაკობ სვიმონის-ძეს გოგებაშვილს, რომელმაც გამოუწერა ჩემდამო რწმუნებულს ვარიანის სამრევლო სკოლის ბიბლიოთეკას მიმდინარე წლის გაზეთ „ცნობის ფურცლისა“ და ჟურნალის „მოამბის“ სრული გამოცემა. გაზეთ „ცნობის ფურცელსაცა“ ვთხოვ გადაჰბეჭდოს ეს წერილი.

ვარიანის სამრევლო სკოლის გამგე
მღ. რაჟდენ აფციაური.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

**სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი**

18 აპრილი.

საქმე სოლომონ და ერმონია სიდამონიძეთა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ.

ივანე ფეიქრიშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1484 მუხ. მე-2 ნაწ. აღნიშნული ბრალი ედება.

ამბაკო ცაგარეიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება.

იასე ციცკალაურისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1656 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

22 აპრილი

საქმე მღვდლის ელიშე გეგომიანცისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-190 და 194 მუხ. დანიშნული ბრალი ედება.

ქ. ტფილისის მე-9 ნაწილის პოლიციელის ჩაევსკისა, რომელსაც სამსახურის დროს ჩადენილი უკანონობანი ჰბრალდება.

***


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით ამა 1900 წლის 12 მაისს მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც გაიყიდება ქალაქის (აბესალომოვისეული) ორ-სართულიანი აგარაკი მიწით, ზომით 203 ოთხ-კუთხი საჟენი, დაბა ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ, პარკის მახლობლად. ვაჭრობა სიტყვიერადაც შეიძლება და წერილობითაც, დაბეჭდილის კონვერტებით. აგარაკთან ერთად იყიდება მოძრავი ქონებაც: ავეჯეულობა, სასადილო, ჩაისა და სამზარეულოს ჭურჭელი. მიწა აგარაკს მიზომილი აქვს კავკასიის ნამესტნიკად ნამყოფის მიერ 1851 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებულ იმ წესების თანახმად, რომელიც ბორჯომში საագარაკო მიწების სარგებლობას შეეხება.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის კანცელარიაში გასინჯონ ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 10-დგან 2 საათამდე. დაბეჭდილი კონვერტები მიიღება 1900 წლის 12 მაისამდე, დილის 12 საათამდე. ამ კონვერტებში უნდა იყოს: ბე 2000 მანეთი, აღნიშნული: სახელი, მამის სახელი, გვარი, წოდება და ადრესი იმისი, ვინც მამულის ყიდვას აპირობს, აგრეთვე უნდა აღნიშნოს უმაღლესი ფასი. იმათ, ვინც ქალაქს გარეთა სცხოვრობს და ვაჭრობა სურს, პირობანი მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ.

(5—6.—2)

დასასრული
**ქართლის ცხოვრებისა**
მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი 2 აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

**ჰუშენის ფოტოგრაფია**
**ს. ნოდელმანისა,**
1892 და 1899 [illegible]
[illegible]
(30—44—25)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე